ხელშეკრულება # 124

ქ. ყვარელი 30 მაისი 2023 წელი

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია შემდგომში "შემსყიდველად" წოდებული, წარმოდგენილი ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის გივი ზაუტაშვილის სახით, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ შპს ,,დიო" წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორი თამაზ დაუშვილის(შემდგომში მიმწოდებელი)სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიისთვის 6(ექვსი) ერთეული ვერტიკალური ფარდა-ჟალუზის შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შპს ,,დიო"-სთან, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება 1565 (ერთიათასხუთასსამოცდახუთი) ლარად გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 12 ივნისის ჩათვლით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტები, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი - ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: „გ" ქვეპუნქტი- გამარტივებული შესყიდვის სამართლებრივ საფუძველს – კანონის შესაბამის ნორმას;

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში ,,ხელშეკრულება"),,სახელმწიფოშესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული შეთანხმება, რომელიც ხელმოწერილია მხარეების მიერ მასზედ თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მითითებული;

1.2. ,,შემსყიდველი" ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3.,,მიმწოდებელი"ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც ,,შემსყიდველთან" გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4.,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს ,,შემსყიდველმა",,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. დღე, კვირა, თვე ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული;

2.ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანი: ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიისთვის 6(ექვსი) ერთეული ვერტიკალური ფარდა-ჟალუზის შესყიდვა (CPV: 39515100)

2.2.მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება გაუწიოს შემსყიდველს: ქ.ყვარელი, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია.

2.3 მომსახურების გაწევის ვადაა 2023 წლის 12 ივნისის ჩათვლით.

3.ხელშეკრულბის ღირებულება

.

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 1565(ერთიათასხუთასსამოცდახუთი) ლარს;

3.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4. ანგარიშსწორებისფორმა დავადები

4.1.ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, “მიმწოდებლის“მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

4.2.,,მიმწოდებელთან'' ანგარიშსწორება იწარმოებს ერთჯერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებლი მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

5.მიღება-ჩაბარებისწესი

5.1. ,,მიმწოდებლი'',,შემსყიდველს'' მიღება-ჩაბარების აქტს;

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები: გაწეული მომსახურებისა და მიწოდებული საქონლის დასახელება, მოცულობა და ღირებულება;

6. მომსახურეობის გაწევის ადგილიდა ვადა

6.1.მომსახურების გაწევის ადგილად განისაზღვრება ქ ყვარელი, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია.

6.2 მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 12 ივნისის ჩ ა თ ვ ლ ი თ .

7.მხარეთა უფლებამოვალეობანი

7.1 „შემსყიდველის“ უფლება აქვს:,,მიწოდებულისაგან'' მოითხოვოს ხელშეკრულებით გათავალისწინებული ყველა პირობის დაცვა;- ნებისმიერ დროს განახორციელოს ,,მიმწოდებლის'' მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან'' ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.4 „მიმწოდებელი“ ვალდ ებულია:

- შეასრულოს ხელშეკრულებით მომსახურება სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში;

8.ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1.,,შემსყიდველი” უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2.ხელშეკრულების ინსპქტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ შექმნილი ჯგუფი.

8.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ ,,შემსყიდველი'' დაუყოვნებლივწერილობით აცნობებს ,,მიმწოდებელს''წუნდების მიზეზების მითითებით.

8.4.გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება,,მიმწოდებელს'' საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9 მხარეთა პასუხისმგებლობახელშეკრულების დარღვევისას

9.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაამისად.

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0.02%- ის ოდენობით;

9.3.იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.06%-ს ,,შემსყიდველი''იტოვებს უფლებასშეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს ,,მიმწოდებელს'' ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელიპირგასამტეხლოსანაზღაურება;

9.4.პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1.არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებებისშედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრლების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული პირობების დადგომს შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% მეტი ოდენობის გაზრდა.

10.5ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ფორს-მაჟორი

11.1.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებები შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორი გარემოეების შედეგი.

11.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული,,შემსყიდველისა“ ან,,მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორი გარეომოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულებისდამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინებაასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს შესრულების ისეთი ალტერნატიურლი ხერხები, რომლების დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.დავებიდა მათი გადაწყვეტის წესი

12.1.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისშესაბამისად;

13. სხვა პირობები

13.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

13.3. ხელშეკრულება შედგენილი ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

13.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილებაან დამატება ძალაშიამხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

13.5.ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ახელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

13.6.ხელშეკრულებას თან ერთვის დამისი განუყოფელი ნაწილია მისაწოდებელი საქონლის ხარჯთაღრიცხვა.

13.7. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედების ვადა 1(ერთი) თვით აღემატება ხელშეკრულების შესრულების ვადას.

14.მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია მისამართი: კუდიგორის ქ.N1 ს/კ 241578574	მიმწოდებელი: შპს „დიო” ს/კ 201946573 ბანკის კოდი: TBCBGE22 მომსახურე ბანკის დასახელება: ს.ს “თიბისი ბანკი” ანგარიში: GE72TB1959136080100001

გივი ზაუტაშვილი

თამაზ დაუშვილი

Dio LLC

Digitally signed by Dio LLC
Date: 2023.05.30 12:40:30 +04'00'